ოქმი:**ო63. 6324057001**
თარიღი:**26/02/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 7

ქ. სამტრედია. 26 თებერვალი, 2024 წელი.

2024 წლის 26 თებერვალს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.
2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.
3. საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს თავმჯდომარის მოადგილე, უმრავლესობის ლიდერი, გოჩა არველაძე.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ნუგზარ ჯამბურია./

2. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

1. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 23 თებერვლის*** №62-622405485 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ", დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების საკითხს.

   (მომართვის №62-622405485, 23/02/2024 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-6324057001-63, 26/02/2024** წ.)

   კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად ერთობლივად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიები.

2. ***ს.ს.ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯაროს სკოლის დირექტორის*** მოვალეობის შემსრულებლის, სვეტლანა ტკვაცირიას, № MES 1 24 0000185196 წერილობითი მომართვა. სკოლის ხელმძღვანელობა ითხოვს, საკრებულოს თანხმობას, ს.ს.ი.პ. ჩხენიშის საჯარო სკოლისათვის, ქართველი მათემატიკოსის, ანდრია რაზმაძის, სახელის მინიჭების შესახებ.

   (მომართვის № MES 1 24 0000185196, 20/02/2024 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:11/63240572-63, 26/02/2024** წ.)

   კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი